№ 152. 18 ივლისი, პარასკევი. 1866—1880 18 ივლისი, პარასკევი. № 152.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

**რედაქცია**

ერევნის მოედანზე, შუა-ბაზრის თავში მარცხნივ თ. ლუარსაბ რაჟუთინსკის სახლში, № 2.

**ხელის-მოწერა**

მიიღება „დროებისა“ და „ივერიის“ რედაქციაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“ и „Иверіи“

**„დროება“-„ივერიის“ ფასი**

| | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება“ და „ივერია“ ერთად | 13 მან. | 7 მან. | 4 მ. |
| ცალკე „დროება“ | 9 მან. | 5 მან. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ | 6 მან. | 4 მან. | 2 მ. |

ცალკე ნომერი, „დროებისა“ ღირს 5 კაპ. „ივერიისა“ 2 მან.

**ფასი განცხადებისა**

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., ჩვეულებრივის ასოებით ასოზე ნახევარი კაპ. ჩვეულებრივის ასოთი ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

1 ივლისიდამ წლის დამლევამდინ

**დროება**

ღირს ხუთი მანეთი

**ივერია**

ოთხი მანეთი

„დროება“ და „ივერია“ ერთად

შვიდი მანეთი

## ტელეგრამმები

(სალხთა შორის სააგენტოსი)

ბერლინი, 15 ივლისს. დღეს აქ მოვიდა მარკიზი წენგი.

სტამბოლი. საერთო ნოტაზე პორტას პასუხი ხონთქარს წარედგინა დასამტკიცებლად. თავდა-პირველად მინისტრებისაგან მოწონებული პასუხის ტექსტი შეცვლილი იქმნა. ვენიდამ მიღებული ამბავი, რომ ნოტა სახელმწიფოებს გარდაეცა, ტყუილია.

პარიჟი, 16 ივლისს. გუშინ გადაცემულ იქნა პორტას პასუხი საერთო ნოტაზედ. საფრანგეთის აფიცრების გაგზავნა საბერძნეთში გადადვეს.

ვენა. საერთო ნოტაზე პორტას პასუხს აქ მოელიან პარასკევს. ოსმალეთის პასუხის ნოტა მუსსურუსისგან არის შედგენილი. ამბობენ აბბედინი სამსახურიდამ გამოდისო. თუ საქმე ზღვაზე დემონსტრაციამდე მივიდა, მაშინ რეფორმების მოსახდენად ცალკე სამინისტროს დანიშნვენ. სახელმწიფოთა შორის თანხმობა დაცული იქნება. შეერთებული ფლოტი დუზზე გაჩერდება მარმარილოს ზღვაში სტამბოლის პირის-პირ.

ოდესსა, 16 ივლისს. დღეს დილით „ნახიმოვ“-ად სახელწოდებულ გემით მოიტანეს სკობელევის ცოლის გვამი. არხიეპისკოპოსმა პლატონმა, სობოროს ვიკარიმ და სამღვდელოებამ პანაშვიდი გადაიხადეს, რომელსაც მრავალი ხალხი დაესწრო. კუბო დღესვე გაიგზავნა რეზანში.

ლონდონი, 16 ივლისს. ქვემო-პალატაში გარტინგტონმა წაიკითხა ყანდაარიდამ მიღებული ტელეგრამმა, რომ დენერალის ბერრაუს მხედრობა ამოსწყვიტესო, ყანდაარის მეციხოვნენი კოშკისაკენ იწვევენ. ბომბეიში მყოფთ ყველა ჯარებს ებრძანათ ყანდაარში წავიდნენ. სიმლაში ბრიგადა მიდის.

## სასამართლო და ადგილობრივი ენები

ტფილისი, 17 ივლისს.

პოლშის ერთს ქალაქში, პლოცკში, ასტყდა ამას წინათ ერთი საქმე, რომელიც ბევრის მხრით საინტერესო ჩვენთვისაც. აი რაში მდგომარეობს ეს საქმე:

ერთმა ადგილობრივ მემამულემ, სახელდობრ იაცკოვსკიმ რაღაც არზა შეიტანა პლოცკის მომრიგებელ მოსამართლესთან. მაგრამ, რადგან ეს არზა პოლშურს და არა რუსულს ენაზედ იყო დაწერილი, ამის გამო მოსამართლემ არ მიიღო. იაცკოვსკიმ მოსამართლეთა კრებაში (მიროვოი სიეზდში—ოლქის სასამართლოში) შეიტანა საჩივარი მომრიგებელ მოსამართლეზედ, რომ პოლშურად დაწერილი არზა უკან დამიბრუნაო. კრებამაც ის გაამტყუნა, პოლშურად დაწერილი არზა სასამართლოებში, კანონით არ მიიღებაო.

იაცკოვსკი არ დაკმაყოფილდა ამ გარდაწყვეტილებით და სენატში გაგზავნა ქაღალდი. სენატმა ეს საქმე ხელ-მეორედ გასარჩეველად დაუბრუნა პლოცკის მოსამართლეთა კრებას; ამან ხელ-მეორედ უარი უთხრა მოჩივარს. იაცკოვსკიმ კიდევ სენატამდინ მიიყვანა საქმე და ბოლოს გავლილ ივნისის 24-ს სენატმა საბოლოვოთ გადაწყვიტა, რომ კანონით აკრძალული არ არისო, რომ ადგილობრივ ენებზე დაწერილი არზა და საჩივრები არ მიიღონ სასამართლოებმაო და ამის გამო პლოცკის მომრიგებელ მოსამართლემ უნდა განიხილოს იაცკოვსკისაგან პოლშურს ენაზედ დაწერილი არზაო.

გაზეთს „გოლოსში“ (№ 187), რომლიდამაც ეს ცნობები ამოგვაქვს, შემდეგი სიტყვებია მოყვანილი ამ საგნის შესახებ:

„ახალ სასამართლო რეფორმების შემოღების შემდეგ პოლშაში მუდამ უსიამოვნება ისმოდა იმაზედ, რომ რუსულ ენის უცოდინარ ხალხს ნებას არ აძლევდნენ თავიანთ სამშობლო პოლშურ ენაზედ წარედგინათ საჩივრები სასამართლოებში. განათლებულ პოლშელებს კიდევ არა უშავდათ-რა; მაგრამ გლეხი ხალხი კი ამ გვარის აღკრძალვით ძალიან შეწუხებული იყო. რუსული ენის უცოდინარი გლეხი სხვა და სხვა გაიძვერა ადვოკატების, ვექილების ხელში ვარდებოდნენ და ესენი ტყავს აძრობდნენ. ამ გვარად, ეს ახალი ხარჯი შეემატა ხალხს.

„ახლა სენატის გარდაწყვეტილების შემდეგ ყველა პოლშელს უფლება აქვს, რომ პოლშურს ენაზე დაწერილი ქაღალდები წარუდგინოს სასამართლოებს ნება არა აქვს, რომ ეს ქაღალდები არ მიიღოს.

„ეს გარდაწყვეტილება უმაღლესის სამოსამართლო ინსტანციისა გარკვეთ უნდა გაიგონ და დაიხსომონ როგორც პოლშის და ოსტზეის გუბერნიის, აგრეთვე ყველა იმ ქვეყნების სასამართლოებმა და ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა, რომლებიც (ქვეყნები) ამისთანავე მდგომარეობაში არიან, როგორც პოლშა და ოსტზეის გუბერნიები.“

ეს სიტყვები, განსაკუთრებით ზე-

## ფელეტონი

### სამი კვირა კახეთში

(გაკვრითი შენიშნვები მოგზაურისა)

### IV

თელავი. საკუთარი კახეთი.

როდესაც კახეთზე ჩამოვარდება ლაპარაკი, სიღნაღსა და თელავს ყოველთვის ერთად მოიხსენებენ; მაგრამ, ჩემის აზრით, ეს ორი ქალაქი ერთად მოსახსენებელი არ არის; ისეთი განსხვავებაა ამათ შუა, როგორც ცასა და დედა-მიწას შუა.

ავილოთ ჯერ თუნდა გარეგანი შეხედულება ამათი: მართალია, ერთიც და მეორეც მაღალ ადგილზეა გაშენებული; მაგრამ სიღნაღი მთის ზურგზე მიკუნჭულა ისე, რომ გასანძრევი გზა აღარა აქვს; თელავს კი, გაშენებულს მთის ძირში, თითქმის ყოველის მხრით შეუძლიან შემატება, გავრცელება; სახლს ვერ ნახავ აქ, რომ თავისთვის პატარა ბაღჩა ან ეზო არა ჰქონდეს; სიღნაღში კი ისეთი ვიწროობაა, სახლი სახლზე შეჯდომილა და ადგილს მტკაველობით ითვლიან. თელავში მშვენიერი და ბლომი წყაროები; სიღნაღის განთქმულ ვირებს, (რომელთაც დაცინებით „სიღნაღის მოქალაქეებს“ ეძახიან), ზურგი აქვთ გაცვეთილი ხევიდამ წყლის ზიდვით და ქუხლებში წყალი უდგათ ბევრის დგომით ამ წყაროზე სანამ კოკების გავსების რიგი ელირებათ. თელავს აქვს, ბაღი-ბულვარი, თუმცა პატარა და მოუვლელი, მაგრამ მაინც ბაღია, ამ სიცხეში სულის მობრუნება მაინც შეუძლიან ხალხს. აქვს სასტუმრო, რომელშიაც მართალია ნომრებს ძვირად იშოვით, მაგრამ მაინც სასტუმროა. აქვს თავის კლუბი, რომელშიაც, მართალია, როგორც სიღნაღისაში, უფრო კარტის თამაშს შეექცევიან, მაგრამ მაინც კლუბია და სიღნაღის კლუბს ერთი სამად სჯობიან შენობითაც, სისუფთავითაც და წესიერებითაც. თვალთათვის საამო გადასახედავი ადგილი აქაც არის, მახვახაანთ მთა, საიდამაც მოჩანს ერთი ნაწილი ალაზნის მინდორისა და გაღმამხარი.

—

ამ გვარივე განსხვავებაა მცხოვრებლების მხრითაც. აქ სომხები და იმათი ჩაკეტილი, გინმარტოვებული ცხოვრება არ არის. ყოველ ნაბიჯზე ატყობ, რომ ეს ქალაქი ნამდვილი ქართველის ქალაქია; გულღიათ ცხოვრებენ, ქეიფობენ, მღერიან, ერთად გროვდებიან დროების გასატარებლად, ერთმანეთს პატიჟობენ, შეექცევიან, მხიარულობენ. როგორც საზოგადოთ ყველა ჩვენებურ საქმეს და განსაკუთრებით სიღნაღელ საქმეს მუდამ ერთი და იგივე ფიქრი (ფულის მოგებისა) არ აწუხებს თელაველს: ის ქართველია და ქართველურად ცხოვრების ქეიფის ამოყრა უყვარს; კაპეიკს არ მისდევს; თუ კი თავის ტოლ ამხანაგებში და ნაცნობებში არის და ლუკმა პური აქვს, სხვას ბევრს არას დაგიდევს.

ექვსი დღე დავყავი თელავში და ამ ექვს დღის განმავლობაში ერთხელ აქაურ კლუბში „ვეჩერი“ იყო დანიშნული, სადაც თელავის ჩინებული ბარიშნები და კავალერები გულმოდგინეთ ტანცაობდნენ, ერთხელ სალამო იყო გამართული ერთს პატივცემულ პირთან და ერთხელაც პიკნიკი თ. დ. ვ—ის მშვენიერ ჭანდრის ქვეშ! ექვს დღეში სამჯერ ქეიფი და დროს გატარება! დამეთანხმეთ, რომ თელაველები მოწყენილი და გულდახურული ხალხი არ ყოფილან! მერე რა ქეიფი: ვახშმათ დაჯდომა, დაუბოლოებელი სადღეგრძელოები, დაუსრულებელი სიმღერები და გათენებამდინ აღარ ადგომა, ისე ჩააწყდებათ ბევრის სიმღერით ხმა, როგორც ხმა წასულს მამალს და ისე არ გაიჟინთებიან ღვინით, რომ მეტი არსად ჩაეტევათ!

ასე ხშირად კი არა, მაგრამ ხანდისხან ამისთანა ქეიფი, როგორც კახეთში სცოდნიათ, სწორეთ მოსაწონია. ორი კაცი ისე არ დაჯდება პურის საჭმელად, რომ ერთმანეთის, თავის კარგი ნაცნობ-მეგობრებისა, ნათესავებისა და მერე სხვა კარგი კაცებისა და სხვა კარგი რამეების სა-

მოთ მოყვანილი პირველ ნახევარი ამ სხოლიოსი, თითქო განგებ ჩვენთვის, ჩვენი ქვეყნის გლეხების შესახებ არიან დაწერილნი:

მართლა, ვინ არ იცის—რამდენ წვალებასა და ხარჯს სწევს ჩვენი სოფლის ხალხი მარტო იმის გამო, რომ ჩვენს სასამართლო და საადმინისტრაციო ადგილებში სამშობლო ენაზედ თხოვნებისა, არზებისა და საზოგადოთ საჩივრების შეტანის ნებას არ აძლევენ? რამდენი გაიძვერა, მატყუარა ადვოკატები გამოჩნდნენ ჩვენში ამ უკანასკნელ დროს, რომელნიც უბრალო აზრის დაწერისათვის, იმისთანა არზისა, რომელსაც ყოველი გლეხი სასოფლო შკოლაში კურს შესრულებული, ადვილად დასწერდა, რომ ქართულად წერის ნება ჰქონოდა; სამოთხხ-უთს და ხან მეტს მანეთს ახდევინებენ გლეხებსა? რამდენი სხვა უსამართლოება და ხშირად უბედურებაც ემართება გლეხს, რამდენი მართალი მტყუნდება და მტყუანი მართლდება მხოლოთ იმის გამო, რომ უმეცარი ადვოკატი რაღაცას დაუწერს რუსულად, გლეხმა არ იცის—რა დასწერა, ხელს აწერს და ბოლოს კი თვითონ ვარდება პასუხის-გებაში?

პოლშის შესახებ კანონებში პირდა-პირ არის მოხსენებული, რომ თხოვნა შეიძლება ადგილობრივ ენაზე იქნეს დაწერილი და სასამართლოში წარდგენილიო.

ჩვენის ქვეყნის შესახებ კი რუსეთის კანონებში ამ საგნის შესახებ არაფერი არ არის მოხსენებული, არ არის მოხსენებული, რომ შეიძლებაო, მაგრამ არც ის არის, არ შეიძლებაო. რამდენათაც ვიცით ამის თაობაზედ იყო რაღაც ცირკულიარი, რომელიც თხოულობდა, რომ სასამართლოებმა მხოლოთ რუსულ ენაზედ დაწერილი არზები მიიღონო. . . . . . .

. . . . . . . . . . . . .

## ახალი ამბები

—

ჩვენ გვთხოვენ გაზეთში გამოვაცხადოთ და ვისიც რიგია იმათი ყურადღება მივაქციოთ იმ გარემოებაზედ, რომ ფურნის უბანში, ოქრომჭედლების თავში მუდამ მოგროვილი არიან ზოგი ციხეში ნამყოფი და ზოგი „საციხოები“, რომელთაგან ბევრი უწესოება და ცუდ-კაცობა წარმოსდგებაო. ამას წინათ ამათ ერთი მხატვარი ხელოსანი კინაღამ მოუკლავს თავის დუქნის წინ; შარშან ერთი მეზურნე მოჰკლესო და სხვ. მეზობლებს ეშინიათ ამათიო. დღე არ მუშაობენ, ღამე არის ამათი ხელობაო...

***

სურფ-ზეურქის უბანში ამას წინად ცოფიან ძაღლს ერთი პატარა ბიჭი დაუკბენია. მშობლებს ვიღაც მკითხავისთვის მიუმართავსთ, ამას წამალი დაულევინებია და უთქვამს, ორმოცი დღე, რომ შეუსრულდეს დაკბენილს, ორის დღის განმავლობაში ნუ დააძინებთო. მართლაც არ დაუძინებიათ, მაგრამ სწორეთ ორმოცზე ყმაწვილი გაცოფიანებულა; მშობლებს ლოგინზედ დაუკრავთ ის, მაგრამ აუხსნია თოკი დავის პატარა დისათვის მხარზე უკბენია; მეორეს თუ მესამე დღეს ეს ყმაწვილი მომკვდარა. იმისაგან დაკბენილს პატარა ქალს არ წამლობენ თურმე, დაკბენილი არ არისო.

***

თუმცა „ივერიის“ მეორე წიგნი რამდენიმე დღეა, რაც გამოვიდა, მაგრამ სხვა-და-სხვა მიზეზების გამო, დღემდინ ვერ დაურიგეთ ხელის-მომწერლებს. დღეს კი ურიგდება ქალაქისა და ზოგიერთ ქალაქის გარეშე ხელის-მომწერლებსა.

***

ქ. სიღნაღიდამ გვატყობინებენ, რომ ამას წინათ სცენის მოყვარეთა რამდენსამე პირს, თ. გ დ. წერეთლის სახლში, გაუმართავსთ ქართული წარმოდგენა. „ძალათ ექიმი“ და „ბუტიაობა“ უთამაშნიათ. ქალებმა ყველამ კარგათ იცოდნენ თავის როლები და რიგიანათაც ითამაშესო, კაცები კი უფრო კოჭლობდნენო. სხვათა შორის თ. ვლ. აბაშიძის თაობაზედ გვწერენ, რომ ადრე რომ გვინახავს ამის მარილიანი თამაში, ახლა იმის ნახევრათმაც ვერ ითამაშა თათუას როლშიო. ყველაზე უკეთ კ-ნა სად. წერეთლისას აუსრულებია თავის როლი.

შემოსავალი წარმოდგენისა კეთილი მიზნისათვის ყოფილა დანიშნული.

***

გაზ. „კავკაზში“ დაბეჭდილია კავკასიის ნამესტნიკის მთავარ სამმართველოში ბათუმის ღუბერნატორისაგან გამოგზავნილი დეპეშა, რომელშიაც იწერება, რომ „რუსის ვაჭრობის და ხომალდების საზოგადოების“ ხარჯით გამართული პრისტანი უკვე მზათ არისო.

***

ბაქოს გაზეთში იწერებიან, რომ დიდი სიცხეების გამო, ბაქოში ზოგიერთი ავათმყოფობა გავრცელდაო; რამდენიმე საოფლითაც (ტიფით) მოკვდაო.

## ჩხარი ურილოების განჩინება

ჩვენ მივიღეთ ამ დღეებში განჩინება, რომელიც ჩხარის (შორაპნის მაზრის) საზოგადოებას დაუდგენია შესახებ ამ სოფელში სკოლასა და სასოფლო ბანკის დაარსება. მოგვყავს აქვე ეს საინტერესო განჩინება:

„ჩყპ-ს წელსა მარტის კა-სა 1 დღესა.

„დღეს შორაპნის მაზრის უფროსის მოწერელობის—ძალით დაბა ჩხარში შევიკრიბენით ჩხარის საზოგადოებაში მცხოვრებნი მღვდელნი, აზნაურნი და გლეხნი განჩინების შესადგენათ მოსაპოებლად საშვალებათა-თვის: სხვა და სხვა გვართა ქურდობათა და უწესოებათა, მოსპობისათვის.

„ვინემ ამაზედ განჩინებას შეუდგებოდით, წარმოსდგა სამღვდელოთა და აზნაურთაგან ჰაზრი: ა) სასწავლებზედ და ბ) სასოფლო ბანკზედ. შესახებ სასწავლებლისა იყო მოლაპარაკება მასზედ, რომ ამ საზოგადოებაში კარგი ხანი არის, რაც სასწავლებელი დაწესდა და მოწაფენიც დაიარებიან, მაგრამ ერთის მხრით ერთი მასწავლებელი ვერ აკმაყოფილებს კარგად სწავლის მოთხოვნილებას, რაც უნდა კარგი მომზადებული იყოს, მეორის მხრით ასე მცირე ჯამაგირზედ (200 მან.) ძრიელ კარგად მომზადებულ მასწავლებელს ვერ ვიშოვით და მესამე მხრით გამოცდილებით არის დამტკიცებული, რომ მოსწავლენი თუ ყოველ-დღე თავიან სახლში წავიდნენ, სიარულს უნდებიან, (3 და 4 ვერსიდან), სახლში არას კითხულობენ; ამ სამის მიზეზით სწავლა ამ ჩვენ სასწავლებელში კარგათ ვერ მიდის.

„მეორე საგანზედ, ესე იგი ბანკის დაწესებაზედ, წარმოითქვა აზრი, რომ დაარსება ბანკისა მისცემს საშვალებას ღარიბ მიწის მუშასა და აშორებს მათ იმ ზარალს, რომელიც იმათ მისდისთ ცხოვრებაში! ანუ იაფათ გაყიდვისა თვისის ნამუშავრისა, ანუ ფულის სესხებით სხვისგან დიდის სარგებლით.

თითოეულ საზოგადოებაში, სიმცირისა გამო კომლის რიცხვისა და სიღარიბისა გამო მცხოვრებთა, ვერსად ვერ დაარსდება რიგიანად შეუერთებლად რაოდენიმე საზოგადოებათა, ეს ორი სასარგებლო საქმე; და თუ სასწავლებლის და ბანკის საქმეში სხვა

---

დღეგრძელო არ დალიონ და სიმღერით არ შეექცნენ.

რამდენათაც შემინიშნავს, კახელებისთანა კარგი და ბევრი სიმღერა ჩვენი ქვეყნის არც ერთ სხვა მხარეში არ იციან. ყველა მღერის აქ და მღერის ჩინებულ სხვა-და-სხვა სახალხო სიმღერებს. ქართლში თუ ბევრი ხალხი არ არის პურის ჭამაზე, ათასში ერთხელ იციან ხოლმე სიმღერით მოლხენა; იმერეთში კი უფრო ხშირად საეკკლესიო გალობას ამბობენ. ეს განუწყვეტელი სიმღერა, მასხარობა, ლაპარაკი, ლეკური და საზოგადოთ მხიარულად პურის-ჭამა ანელებინებს კახელ კაცს იმდენ ღვინოს, რამდენსაც ის სვამს.

თუ მართალია რუსისაგან ნათქვამი სიტყვა, რომ „რაც ფხიზელს ჭკუაში აქვს, ის ნასვამს ენაზე ადგიაო“, მაშ ყველაზე უკეთესი დრო კახელის გასაცნობად პურის-ჭამის დრო ყოფილა. ამ დროსაც და საქმის დროსაც ვნახე, გავიცანი მე ის და ვამბობ, რომ კახელი კაცი ძალიან საყვარელი კაცია...

—

შესანიშნავი და ყურადღების ღირსი ბევრი არაფერია კახეთის დედაქალაქს თელავში.

როგორც თითქმის ყველა ჩვენს ქალაქებს, ისე თელავსაც გალავანი, ციხე აქვს; ახლაც დარჩენილა ამ ციხეზედ ამაღლებული კოშკი, რომლიდამაც, ამბობენ, ჩვენი მეფეები ალაზნისაკენ იცქირებოდნენ: ხომ არსაიდამ მოჩანს მტერიო (ლეკიო). ამავე გალავანში ყოფილა ერეკლეს სამეფო სახლი; ეს სახლი ახლა წმ. ნინოს საქალებო სასწავლებლად არის გადაკეთებული; ის ოთახი, რომელშიაც ეს ჩვენი დიდებული მეფე, „პატარა კახი“ მიცვალებულა, ახლაც ხელ-უხლებელია: როგორც მეფის მიცვალების დროს ყოფილა, ახლაც ისეა, იმავე ტახტით და სხვა მორთულობით მოწყობილი, მხოლოთ შეულესნიათ.

ამავე ციხის ვალავანში არის ის შენობა, რომელიც ერთ დროს ასე განთქმულს „თელავის სემინარიას“ ეჭირა თავის გამოჩენილის დავით რექტორით. ახლა აქ თელავის სასულიერო სასწავლებელი მოთავსებულა, რომელშიაც, დავით რექტორის მაგიერად, პატივცემული ნ. მთვარელოვი რექტორობს, ზედამხედველი ამ სასწავლებლისა.

—

ყველა ქუჩები თელავისა მოკირწყლულია, შოსსეა. ბევრი ნაწილი ამ ქუჩებისა ახლად არის გაკეთებული ახალ მაზრის უფროსის თ. ნ. ზ. ჩოლაყაშვილის დროს; ამასვე უნდა უმადლოდნენ თელაველები, თუ ეს ქუჩები სუფთად არიან შენახულნი და რამდენიმე ფარნით მაინც განათებულნი.

რასაკვირველია, თელავის გალაზათიანებას ჯერ კიდევ ბევრი რამ აკლია, მაგრამ უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ ეს ქალაქი, როგორც დამარწმუნეს, ერთი-ორად უფრო ღარიბია სიღნაღზე და სახელმწიფო ჯერ გარდაუხდელი ხარჯი მმართებს თურმე ორი ათას თუმანზე მეტი. ამისთანა ღარიბ ქალაქს, რაც უნდა კარგი გამგებელი ჰყავდეს, ყველაფრის რიგიანად მოწყობა არ შეუძლიან.

მაგ. ქალაქს მარჯვნივ, მთიდამ, ჩამოუდის ერთი ხევი, რომელსაც ციცის-ხევს ეძახიან, და რომელიც ნიაღვრის დროს ისე ადიდდება თურმე ხშირად, რომ ლამის ნაპირა დუქნები და სახლები წაიღოს. ამ ხევს, უეჭველია, კალაპოტში ჩაყენება უნდა, კედლის ამოშენება ორივ მხრით, თორემ შეიძლება იმან ერთ დროს დიდი ზარალი მისცეს ქალაქს. მაგრამ თელავს ამ ჟამად ვინ მისცა იმდენი საშვალება, რომ აქ კედელი გააკეთოს...

—

აქაურ წმ. ნინოს ზავედენიის თაობაზედ ბევრი რამ სასიამოვნო და თან სამწუხარო მითხრეს მცოდნე და სარწმუნო პირებმა. ზავედენიის უფროსს ქალს თურქისტანოვისას ყველანი ძლიერ ემადლიერებიან, დედაშვილურად ეპყრობა ქალებსა (სულ ასზე მეტი ქალი სწავლობს თურმე ამ ზავედენიაში, მასწავლებელი — ქალებიც და კაცებიც არ არიან ურიგონიო, სამშობლო ენის სწავლებას ჯეროვანი ყურადღება აქვს მიქცეულიო და სხვ.

საზოგადოების მცხოვრებნიც მიიღებენ მონაწილეობას, მაშინ შეიძლება ამათი საქმე უკეთ წავიდეს.

ამ ყრილობაზედ დამსწრე მღვდელთ და აზნაურთ განაცხადეს სრული სურვილი და ამ განჩინებაზედაც მონაწილეობენ ხელის მოწერით. ამისათვის ჩხარის საზოგადოების გლეხთაგან ყრილობამ შეერთებით მღვდელთ და აზნაურებთან გავაჩინეთ:

„ა) მთხოვოს თერჯოლის, მუხურის, საზანოს, ხრეითის და ქაცხის მამასახლისთ, რომ ამ შეერთების ჰაზრი გამოუცხადონ მათ რწმუნებულთ საზოგადოებაში მცხოვრებთ: თავადთ, აზნაურთ, მღვდელთ და გლეხთ.

„ხოლო ჩვენი აზრი ეს არის: ზემოხსენებული საზოგადოებანი შეერთდეთ ამ ორს საქმეში, გამოვიღოთ იმდენი, რამდენიც თვითეულს გლეხს შემოაქვს სასწავლებლისთვის, სასწავლებელი ორ კლასიანი გაიხსნას დაბა ჩხარში, სახლები სასწავლებელთა, სადაც არის ზემოხსენებულ საზოგადოებებში; საზოგადო ხარჯით გადმოიტანონ ჩხარში და გავაკეთოთ კლასის და მასწავლებელთ სადგურებად, ანუ გაიყიდოს და იმ ფულით უფრო საფუძვლიანი სახლი გაკეთდეს; ხოლო იმ საზოგადოებამ, სადაცა სახლი არ არის დღეს, თანასწორობისათვის შემოიტანოს იმდენი ფული, რამდენათაც ეღიროს ანუ გაიყიდოს სხვა საზოგადოებების სასწავლებლის სახლები. შემდეგ სახლების გაკეთებისა მოვახდინოთ ყველა შეერთებულის საზოგად საზოგადოებების საზოგადო ყრილობა, ანუ თვითეულს საზოგადოებაში ამოვარჩიოთ ერთი აზნაური, ერთი მღვდელი და ერთი გლეხთაგანი და მივანდოთ, რომ ამ სამმა პირმა თითო ყრილობისაგან ამოარჩიონ რიგიანი მზრუნველი სასწავლებლისა და ამ უკანასკნელს მიენდოს როგორც შოვნა და ამორჩევა კეთილ საიმედო მასწავლებლებთა მართებლობის რჩევით, ეგრეთვე ზედამხედველობ ასასწავლებელზედ, მოსწავლეთა და მასწავლებელთა ზედა; წარმოუდგინოს ანგარიში წარმატებაზედ სწავლისა და შემოღებაც ამ სასწავლებელში მოხელობისა და მეურნეობის სწავლის გავრცელობისა; რადგან შემატება გარდასახადისა იმაზედ, რასაც დღეს არ ვიხდით, სიღარიბისა გამო შეუძლებელია ამის გამო შემდეგში შვილის შემომყვანელმა გარდაიხადოს რასაც ჩვენ დღეს ერთ დროებითად ვიხდით, გარდა იმისა, რომ კომლეურად უნდა იხადოს ის, რასაც დღეს გლეხები ვიხდით კომლზედ ორ-ორი მანეთი.

„ამ სასწავლებელში მიიღებიან ყოველი წოდების შვილები, ვინც კი ამ ჩვენ აზრს შემოუერთდება და შემოიტანს შემყვანელის შვილისათვის ორ-ორ მანეთსა. შემოუერთებელის საზოგადოებისაგან მიიღებიან მოწაფენი მაშინ, როდესაც მათთვის იქნება კლასში ადგილი. ამ ნაირმა მოწაფემ უნდა შემოიტანოს არა ნაკლებ ექვსს მანეთისა წელიწადში, ორ ნახევრად.

„ბანკზედ ჩვენი აზრი ეს არის: გაიხსნას ბანკი დაბა ჩხარში. კომლზედ თავადთ, აზნაურთ და გლეხთ შემოვიტანოთ საფუძველ თავნად თითო მანეთი ერთ-დროებით და მერე ათს წლამდის ყოველ წელიწადს ათ-ათი შაური და შემდეგ ათის წლისა ეს შემოტანა მოისპობა.

„ამორჩევა ბანკის გამგებლისა, გასესხება და შენახვა ფულისა უნდა მოხდეს თანახმად უმაღლესად დამტკიცებულის კანონისა სასოფლო ბანკებისათვის.

„როგორც სასწავლებელს ეგრეთვე ბანკს მიეცეს სახელდება ჩხარის შეერთებულის ამა-და-ამა საზოგადოებაებთან საზოგადო სასწავლებელი, ბანკიც საზოგადო.

„ჩვენ ამ ყრილობაში მონაწილენი დაწესებას ბანკისას და სასწავლებლისასა დ. ჩხარში მისთვის ვფიქრობთ, რომ აქ არის სავაჭრო ადგილი, იშოვება ყოველივე საჭირო სასყიდლად და სადგომები ყმაწვილების დასაყენებლად: მშობელთ ჩხარში მისვლა ხშირად ეჭირებათ საყიდლად მარილისა და სხვა ოჯახის საჭიროებისათვის და ადვილად შეუძლიათ შვილების ამბავი შეიტყონ და თვით ერთის მგზავრობით ხარჯიც ჩამოუტანონ და ამასთანავე, რადგან ჩხარში არის კარგი სავაჭრო ადგილი, აქ მოსწავლეთათვის სასწავლებლად უფრო ადვილად ვიშოვნით კარგი მოხელობის მცოდნე კაცებს (მჭედლის, დურგალს, ხუროს და სხვ.). ჩვენ საზოგადოებაში გვყავს ხელოსნებად წოდებულნი, რომელთა ხელობა სრულებით არ ვარგა, ხოლო ჩვენი შვილები გარდა წიგნის დაწერისა აქ ისწავლიან სხვა-და-სხვა სასარგებლო ხელობასა.

„პირი ამა განჩინებისა ჩვენმა მამასახლისმა გაუგზავნოს ზემოხსენებულ საზოგადოებათა მამასახლისებს და ითხოვოს გამოგზავნა იქაურის ყრილობის განჩინების პირისა, თუ რას ინებებენ იქაურნი ყრილობანი, და როდესაც ყველა საზოგადოებათაგან იქნება მიღებული ამ ნაირი პირები, მაშინ ერთ-დროს ყველა მამასახლისებმა წარუდგინოს ბ. მაზრის უფროსს დასამტკიცებლად."

„კოლეჟსკის ასესორი **ნიკოლოზ სიმონის ძე ჩიკვაიძე** სრულიად თანახმა გახდა ამ განჩინებაზედ კომლეურის გარდასახადის შემოტანაზედ, და ხელი მოაწერა, რომ, უკეთუ შემოიტანონ საფუძველ თავნ ფულად ბანკში, ხუთასი მანეთი ექვსი კაპეიკის სარგებლით შემოვიტანო. აგრეთვე ხელი მოაწერეს: თანახმა ვარ ამ განჩინებისა — ბლაღოჩინი მღვდელი **მოსე ჯუღელი**, მღვდელი **ბესარიონ კახიძე**, გუბერნსკის სეკრეტარი **კონსტანტინე იოშხელი**, აზნ. **სოლომან შოთაძე** და აზ. **სიმონ შუბაშვილი**, ჩხარის საზოგადოების სახალხო მასწავლებელი **პეტრედ ლუტაძე**, აზნ. **შამშე ლოლაძე**, აზ. **დავით იოშხელი**, აზ. **ალექსანდრე შოთაძე** და სხვ. სულ ექვსას-ოთხმოცდა-ცხრა პირნი ოჯახის მეუფროსენი.

# რუსეთი

უწმიდესს სინოდს ყურადღება მიუქცევია იმ გარემოებაზე, რომ მრავალს სასანთლე ქარხნებში **წმინდა სანთლებს, ჩამოსხმის დროს, პარაფიტს ურევენ**, და ფინანსის სამინისტროსათვის უთხოვია რომ იმან ვალდებული ჰყოს სანთლების ჩამომსხმელები წმინდა სანთლების ყოვლის შეურეველად გასაკეთებლად, და გამყიდველებს კი მკაცრად აუკრძალოს ყალბი სანთლების გაყიდვა.

ფინანსის სამინისტროს ღუბერნატორთაგან მოუთხოვნია ცნობები სხვა-და-სხვა ქალაქებში წმინდა სანთლების ჩამოსხმის და ყიდვის შესახებ.

# უცხოეთი

**წვრილი ამბები.** რომფორის გაზეთის (შეურიგებელში) ერთ-და-ერთს №-ში, სხვათა შორის, შემდეგი სწერია:

„ჰგონიათ ბამბეტტა რესპუბლიკის დამტკიცებისათვის ილვწოდეს, მაგრამ ჩვენ ვიშიშვით, რომ ის „ბამბეტობის" დამტკიცებისათვის უფრო არ ილვწოდეს. იმან იმისთანა მოხელენი დააყენა ყველა საპრეფექტოებში, რომ არჩევანის დროს მისს კანდიდატურას

---

მაგრამ ერთის მხრითა აქვსო ამ სასარგებლო სასწავლებელს დაბრკოლება—მატერიალურის საშუალების მხრით. ამ რამდენიმე წლის წინად კახელ თავად-აზნაურები შეკრებილიყვნენ და გარდაეწყვიტათ, რომ თითოეულმა ამათგანმა წელიწადში ოთხი მანეთი შესწირონ ზავედენიას. მაგრამ, როგორც მოგეხსენებათ, ჩვენი ამბავი, პირველ წელიწადს თითქმის ყველამ დროზედ შეიტანა ფული; მეორე წელიწადს კი მხოლოდ ნახევარმა, მესამეს—მეოთხედმა და ამ ნაირად ეს წყარო მოისპო. მას შემდეგ თუ კერძო პირებისაგან შემოდის ცოტაოდენი თუ თფილისში ხანდისხან ბალები იმართება ამის სასარგებლოდ და ამით როგორც არის იოლად გამოდიან. მაგრამ რა იოლად გამოსვლა უნდა იყოს ის იოლად გამოსვლა, როდესაც მასწავლებელ და ზედამხედველ ქალებს თვეში ორი თუმანი ჯამაგირი ეძლევათ! რასაკვირველია, თუ არ ძალიან გაჭირებული და ყველა მხრით გზაშეკრული სხვა არავინ წამოვა აქ ამისთანა ჯამაგირზე მასწავლებლად.

ურიგო არ იქნება; რომ თფილისის სათავად-აზნაურო ბანკის დამფუძნებელთა მიიღონ მხედველობაში ის უეჭველი სარგებლობა, რომელიც ჩვენი ქალების და მომავალ ცოლების აღზრდაში მოაქვს თელავის წმ. ნინოს ზავედენიას და ცოტა რითიმე ხელი მოუწყოს იმას თავის წლიურ შემოსავლიდამ; წელიწადში რომ ასი თუმანი შემწეობა მისცენ, ისიც ძალიან კარგი შემწეობა და ხელისმომართვა იქნება...

—

თელავიდამ რამდენიმე დღით ყვარელს წაველი, რომელსაც პოეტმა „კახეთის თვალი" დაარქვა.

გზათ მთელი ალაზნის მინდორი გავიარე და უნდა გავტყდე, რომ ამ მინდვრის სიცხე ბევრად არ უნდა ჩამოუვარდებოდეს სახარის უდაბნოს სიცხეს. ალმული ასდის, ალმული დედა-მიწას!.. გასაკვირველია, რომ მდინარე ალაზანი სრულებით არ აგრილებს აქაურობას, ისეთს სინოტივეს და ზომიერებას არ აძლევს ჰავას, როგორც მდინარე წყალს სჩვევია.

საზოგადოთ კახელები თავიანთ ერთად-ერთს მდინარეს ალაზანს ძალიან ემდურიან: ყოვლად უსარგებლო წყალიაო. დაუდეგარი—დღეს რომ აქ არის, ხვალ ეშმაკებში გადადისო, მოსარწყავად არ გვარგია და საწისქვილეთაო, თვითონ წყალიც საძაგელი, თბილი სცოდნია და თევზიც უგემური...

სხვათა შორის ალაზნის წყლის ამ ცუდი თვისებებით აიხსნება ის გარემოება, რომ ამ მდინარის ნაპირზე თითქმის ვერც ერთს სოფელს ვერ ნახავთ გაშენებულს მთელს კახეთში: ყველა შორდება, ერიდება თითქო ჭირიანიაო. მართლაც ამბობენ, ალაზნის ნაპირები ხაშმიანი ადგილები არისო.

ალაზნის ხიდი ჩაქცეულია და ხალხი ფონით გადის-გამოდის. ნავიც გაუკეთებიათ, მაგრამ ეს ნავი წყალში სწორეთ აკვანივით დაქიანობდა და ამიტომ ისევ ფონით ვამჯობინე გასვლა, რადგან წყალიც პატარა იყო.

თუ ამ ზამთრამდინ არ გააკეთეს ეს ხიდი, წყალ-დიდობის დროს როგორ უნდა იაროს ხალხმა?

თელავიდამ დაწყებული ყვარლამდინ და იმას იქითაც ისე მშვენიერი შოსსეა, როგორც ხელის-გული. უბედურება ეს არის, რომ თითქმის ყველგან ბოგირებია გაფუჭებული და ამის გამო მოგზაურს ზოგან ერთობ შორს შემოვლა სჭირდება. ამბობენ კია, რომ ამ ბოგირების გაკეთება ვილასაც იჯარითა აქვს მიცემულიო და ამ ენკენისთვემდინ უნდა დაამზადოსო...

გზაზედ გავიარე და ტარანტასის ფანჯრიდამ დავინახე გრემის ქალაქი, ენისელი, შაქრიანი, შილდა და ბოლოს ნასადილევს ყვარელს მიველწიე.

(დასასრული შემდეგ №-ში)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველაზე უფრო ბევრი ოფიციალური მომხრენი ეყოლება. ბატ. გამბეტტა კარგი მჭევრმეტყველია, მაგრამ უფრო კარგი საფრთხეა რესპუბლიკისათვის. მჭევრმეტყველობის ხელოვნება მხოლოდ მაშინ არის ძვირფასი თუ იგი სადიქტატურო ხელოვნებისაკენ არ იქნება მომართული.

—

საფრანგეთის მმართებლობას ბრძანება გაუცია უცხო ქვეყნებში მყოფთ თავის წარმომადგენლისადმი, რომ იმათ ყოველ ღონის-ძიებით დაეხმარონ იმ პატიებულთ კომუნარებს, რომელთაც საშუალება არა აქვთ სამშობლოში დასაბრუნებლათ.

—

ინგლისური გაზეთი *Daily News*-ი ამბობს ოსმალეთის საომრად მზადების გამო, რომ ეს მზადება ჯერ კიდევ არ ამტკიცებს რომ ოსმალოს ომი სურდესო. „რამდენიმე გემს ნაბრძანები ჰქონდა ეპირსსა და თესალიაში წასულიყვნენ ნახშირის შესატვირთავად, მაგრამ როცა დანიშნულს ადგილს მივიდნენ ნახშირი ვერ იპოვესო. ჰობარტ-ფაშა ამბობს საბერძნეთთან არ ვიომებო. გემები უნახშიროთ, ხაზინა უფულოთ და ურჩი ადმირალი—ვერაფერი საომრად წამქეზებელნიაო, ამბობს ზემოხსენებული გაზეთი.

—

მოსკოვის უწყებებს რომიდამ სწერენ იტალიის ხალხი ისე თანაუგრძნობს ალბანიელებს, რომ იგი უეჭველად არაფერს იქს ალბანიელთ სურვილის საზიანოთო, თუმცა ევროპის უმთავრესთ სახელმწიფოებს კი მიემხრო აღმოსავლეთის საქმეშიო.

# განცხადებანი

—

### კავკასიის აქეთა მხრის საოსტატო სემინარიისაგან.

მომავალს $18^{80}/_{81}$ აკადემიურს წელიწადს გორის საოსტატო სემინარიაში შემოსვლის მსურველთათვის არის 4 დაუჭერელი ვაკანცია მოსამზადებელ კლასში და 6 პირველში. მიღებისათვის არზები 15-ს აგვისტომდი მიიღებიან. საკონკურენტო ეგზამენები 20-ს აგვისტოდამ 25-მდე იქმნებიან მოხდენილნი.

(3—1)

### სავაჭრო სახლი
# იაგ. კასუმოვი და ამხ.

თავის პაიშჩიკებს, შემომტანლებს (ვკლადჩიკებს) და საზოგადოთ ყველა ინტერესის მქონე პირთა, რომ რადგანაც საქმე მატულობს ამ სახლის მთავარი კანტორა ამ წლის 1 აგვისტოდამ გადიტანება ბ. ჯაყელის სახლის ზემო სართულში ბანოვის ქუჩის და ერევნის მოედანის კუთხეში. ფულის გასასესხებლად, გადასახადის და შემოსატანის მისაღებად კანტორა ღებულია საქმის დღეებში დილის 9 საათიდამ შუადღის 2-მდე, კვირაობით 8-დამ დილის 10 საათამდი.

იყიდის 1. და 2 შინაგან მოგებიანს სესხის ბილეთებს და თვითონვე ჰყიდის ამ გვარებს და ფასის გადახდას 12 თვით ადროვებს წვრილ-წვრილად შემოტანით. ბილეთის ამ ნაირად მყიდველს მონაწილეობა ექნება მოგებაში, რომელიც მოსალოდნელია წლის განმავლობაში ერგოს 20 ბილეთებს, რომელიც მოხსენებულია ოთხის ტირაჟის მოწმებაებში. იყიდის და გაჰყიდის კერძო პირთა მონდობილობით ყოველგვარ უძრავ ქონებას. მიიღებს საკომმისიო და გასაყიდად: საქონელს და მასალას. ჰყიდის დაბეჭდილ პირობებს სახლის დათმობისაზე, დუქნების და ცარიელ ადგილების გაქირავებაზე.

შესანახავად შეტანილს ფულზე აძლევს პირობის გამოცვლამდის:

1) შენახვის ანგარიშით და მოთხოვნამდის — — — — —$4^1|_2$%
პირობით $4^1|_2$%

2) ვადით შენახვაზედ. 6 თვით $5^1|_2$%
9 თვით $6^1/_2$%
1 წლით $7^1|_2$%
$1^1|_2$ წ. $8^1/_2$%
2 მეტ. წ. 9%

3) საგანგებო პირობით შესანახავად შემოტანილს ფულზე 1 ხარისხის პაიშჩიკებს ამხანაგობისას — — 9%

ვექსილით ფულის გასესხების დროს უწყებულ პირთა თავდებით ახლევინებს თვე-და-თვე გადასახ. სესხზე---10%
კვირ-კვირაობით — — —9%/

დაწვრილებითი ცნობა და ახსნა მსურველთ შეუძლიანთ მიიღონ ყოველ დღე კანტორის გამგესთან.

(5—3)

სამზღვარ-გარეთის ყოველ-გვარ სავაჭრო სახლებთან პირადად ნაცნობობამ და პირდაპირის კავშირის ქონებამ, შეგვამლებინა დაგვეწყო ქ. ქუთაისში ვაჭრობა

საკუთრივ

# სამზღვარ გარეთელ მოდის საქონლისა

*NOUVEAUTÉS PARISIÉNNES*'-ის

ფირმით

ვაცნობებთ რა ამას აქაურს პატივცემულს საზოგადოებას, ვიმედეულობთ, რომ ის არ დაგვტოვებს უყურადღებოთ და ღირს გვყოფს მოგვმართოს საჭიროებისა-მებრ.

ჩვენის საშუალობით შეიძლება სამზღვარ გარეთიდამ ყოველ-გვარ მაშინების, აეჯეულების, ფორტეპიანოთა და სხვ. ნივთების დაბარება.

ჩვენი მაღაზია არის გიმნაზიის და სათავადო ქუჩების კუთხეში, ბულვარის პირდაპირ საკუთარს სახლში.

ივანე ნიკოლაძე შვილებითურთ.

მსურს ვიყიდო

# საგარახე და-ან გოსტნე ადგილი

წყლის პირას, სივრცით 25 დესიატინამდინ, რომლის ფასი არ აღემატებოდეს 3,000 მანეთს და რომელიც ოც ვერსტზე შორს არ იმყოფებოდეს თბილისიდამ.

ვისაც აქვს ამ გვარი გასაყიდი მამული, ვთხოვ მაცნობოს ამ ადრესით:

თბილისს, სასახლის ქუჩაზე, ხარაროვის მაღაზიაში.

ა. ჯაბადრიშვილი.

(4—2)

პატენტიანი შრიტკები

თმებისათვის 1 მ. 50-დამ და ცხენებისათვის 1 მ. 75-დამ; ყვავილები სახურავებით 2 მანეთიდამ; სარშევე 30 კაპ.; რუმკები 5 კ.-დამ; ფილტრები (წყლის დასაწმენდი) 3 მ-დამ და ვედრები 1 მან-დამ; თეფშები 2 მ-დამ ინიდუჟ; შოკოლადის კანფეთები 20 კ-დამ თითო ყუთი და სხვ. ინგლისურს მაღაზიაში.

(100—24)

# კანტორა

ოდესის ვაჭრის

# იაგ. ზალინოვის

(ადრესი: ოდესსა, ალექსანდროვის პროსპექტი, ფიშერის სახლი)

ჰყიდულობს და ჰყიდის, კომმისიით ყოველ გვარ საქონელსა.

აგენტურა სხვა-და-სხვა საქონლის გასასაღებელად.

წარმომადგენელია რუსის და სამზღვარ გარეთის ფაბრიკებისა, ქარხნებისა და სავაჭრო სახლებისა.

აქვე ნარდათ ჰყიდის და ჰყიდულობს, აგრეთვე კამისიის ფქვილს, საწვრიმალო და კოლონიალურ საქონელს.

(30—20)

ახლანდელ დიდს [illegible] დროს,

ფოტოგრაფიული სურათები იყიდება 20% დაკლებით, მაკ-ინტოშები (მოსახურავები) 6 მანეთიდამ 20-მდე; შრითქები მოსაფხვევებითურთ თითო 75 კ.; შეკვეთილია შეფფილდში განსაკუთრებით ინგლისურ მაღაზიისთვის საუკეთესო სამართებლები, რწყვილი პუდრებით ღირს 4 მან.; შეფფილდის დანები ჩანგლებიანათ დუჟინი 2 მ. 75 კაპეიკიდამ 20-მანეთამდე. ჩაინიკები ბრიტანიის მეტალისაგან 30 კაპეიკიდამ 3 მანეთამდე; ციტრატ-მაგნეზია, ოსმალოს შარბათი და სამწყურვალო კვერების ბანქა 70 კ.; საუკეთესო პორტ-ვეინი და ხერესი 1 მ. 40 კ ბოთლი, და შამპანიის ღვინო ბოთლი 3 მან. და სხვ. ინგლისურს მაღაზიაში.

(40—34)

პარუსინა, ბუმაზეია, ტრიკო, დრაპი, ხავერდი მებელისა და ფაეტონებისათვის, უნაგირები, ფოჩტის ქაღალდი და სხვ. 30% უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე, ისყიდება ინგლისის მაღაზიაში.

მურაბა გემრიელი, კანფეტები ყველი, მაგნეზია შერბეთი წყურვილისათვის, ჰურჭლეული, ჩაინიკები, გრაფინები და სხვ. და სხვ. 25% უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე ისყიდება ინგლისის მაღაზიაში.

კარბოლის პარაშოკი, კარბოლის წყალი და საპონი გადამდებ ავათმყოფობისათვის, მზის საათები დროების საჩვენებლად—ფასი 1 მან.—ინგლისი მაღაზიაში.

(40—20)

დაბოლოებითი

# დაყიდვა

ამ თვის ბოლომდის ინგლისის მაღაზიაში, არწრუნის ქარვასლაში. ჩულქები, წინდები, ცხვირ-სახოცები, პაროსინები, სურათები, დუხები, თოფები, რევოლვერები, კლიტენი, ხერხები, დანები. კოვზები, სამწყურვალო ციტრატ მაგნეზიები და სხ. იყიდება ეხლა 25% და 50% უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან არის.

(10—5)

ჩაი! ჩაი! ჩაი!

როგორც იქნა ბოლოს მოვიდა ინგლისის მაღაზიაში დიდ-ძალი ჩაი პირდა-პირ პლანტატორებისაგან და ისყიდება: 1 მან. 10 კაპ., 1 მან. 20 კაპ., 1 მ. 40 კ., 1 მ. 60 კ., 1 მ. 80 კ. და საუკეთესო ჩაი 2 მან. გირვანქა უქაღალდოთ, ე. ი. 25% უფრო იაფი და უკეთესი, ვიდრე სხვაგან სადმე.

სად არის ინგლისის მაღაზია?—არწრუნის ქარვასლაში.

(20—19)

Дозволено цензурою. Тифлисъ 17 Іюля 1880 г. Типографія Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი